№ 49. 7 მარტი, შაბათი. 1866—1881 7 მარტი, შაბათი. № 49.

ტფილისი

**რედაქცია**

გალავნის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверія".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილის ასოებით მოკრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმარცვლის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

## ტელეგრამმები

—

ხალხთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი

პეტერბურღი, მარტს. მიცვალებულის იმპერატორის გვამს 7 მარტს გარდაასვენებენ საზამთრო სასახლიდამ პეტრე-პავლეს ციხის ეკკლესიაში. სასახლიდამ პირ-და-პირ გაყინულ მდ. ნევაზე გაიტანენ და არა ხიდით.

ის ადგილი, სადაც მიცვალებული ხელმწიფე იმპერატორი მოჰკლეს, შემობილია.

პეტერბურღის ქალაქის რჩევამ (დუმამ) გადასწყვიტა, რომ იმ ადგილზე, სადაც ხელმწიფე მოჰკლეს, აკგონ მეგლი და სალოცავი.

აღმოჩნდა, რომ რისაკოვი, რომელმანც პირველი ყუმბარა ესროლა ხელმწიფის კარეტას, გამოჩენილის ვაჭრის გრომოვის პრიკაზჩიკის შვილი უფილა.

გაზეთს „ნოვოე ვრემიაში" სწერენ, რომ ამ საქმეში დიდ მალი ხალხი ერიაო, რომელნიც ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში იყვნენ გაფანტულნიო.

ოფიციალური ცნობა. გამომძიებამ აღმოაჩინა, რომ ის პირი, რომელმაც რევოლვერით წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, როდესაც იმას იჭერდნენ იმ კვარტირაში, საიდამაც რისაკოვმა და იმის ამხანაგმა გამოიტანეს ასაფეთქი ყუმბარები, ეს პირი ყოფილა სმოლენსკის გუბერნიის, სიჩევსკის უეზდის გლეხი თიმოფეი მიხაილოვი. ამას მიუღია მონაწილეობა ამ საქმეში, სხვებთან ერთად ემზადებოდა ხელმწიფის მოსაკლავათა. ამ დატუსაღებულის კაცის ქაღალდებში სხვათა შორის აღმოჩნდა — თუ როგორ აპირებდნენ ესენი ამ საქმის მესრულებას და რის მოხდენას აპირებდნენ ეკატერინის არხთან და პატარა სადოვის ქუჩაზე.

ამას გარდა პოლიციამ სასამართლო პალატას აცნობა, რომ პატარა სადოვის ქუჩაზე რო კობოზევის ყველის დუქანი იყო, ამ დუქნის პატრონები კაცი და ქალი სადღაც დაიმალნენო; ამ დუქნის მეორე ოთახში ნათხარი მიწა ამოჩნდაო. მეორე ოთახიდამ გაყვანილი თხრილი სადოვის ქუჩის შუამდინ არის მიწეული და აქ ასაფეთქი მასალებია მოწყობილი.

შემდეგ გაზეთებს გამოეცხადა მთავრობისაგან გაფრთხილება: „სტრანას" — მეორე გაფრთხილება № 27-ში დაბეჭდილის წინა სტატიისათვის და გაზ. „გოლოსს" — პირველი გაფრთხილება № 67 დაბეჭდილის წინა სტატიისათვის.

სრული მგლოვიარობაჲ მიცვალებულის ხელმწიფისათვის 6 თვით არის დანიშნული, 4 ხარისხათ გაიყოფება.

## ახალი ამბები.

—

თფილისის თავად-აზნაურობამ 2 მარტს გაგზავნა პეტერბურღში ტელეგრამმა დიდის მთავარის კავკასიის ნამესტნიკის სახელობაზე, რომელშიაც თავად-აზნაურობა სთხოვს ნამესტნიკს, იშუამდგომლოს და გარდასცეს ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე მესამეს ის ღრმა მწუხარება და ქვეშევრდომითი გრძნობანი, რომელიც აღძრა მათ გულში 1 მარტს მომხდარმა საშინელმა ამბავმა.

ამ ტელეგრამმაზე თფ. თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ. დ. ა. სუმბათოვს დიდის მთავრის ნამესტნიკისაგან მოუვიდა პასუხი ტელეგრამმითვე, რომელშიაც სწერია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, ამ გვარის გრძნობისათვის, მადლობის გამოცხადება ინება.

***

მოგვყავს ტელეგრამმა, რომელიც, ამ საგნისავე შესახებ, გაგზავნა 2 მარტს თფილისის ქალაქის თავმა ქალაქის რჩევის მინდობილობით:

„მისს იმპერატორებით უმაღლესობას დიდ მთავარს მიხეილს.

„პატივი მაქვს თფილისის ქალაქის საზოგადოების სახელით ვიშუამდგომლო თქვენის იმპერატორებით უმაღლესობის წინაშე, რომ მოახსენოთ მისს იმპერატორებით უდიდესობას ის ერთგულ ქვეშევრდომითი გრძნობანი და ღრმა მწუხარება, რომლითაც თფილისის მცხოვრებნი აღძრულნი არიან მთელის რუსეთის დამბნელებელის შემთხვევისა გამო."

ქალაქის თავი მატინოვი.

აი პასუხი, რომელიც დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა გამოგზავნა ტელეგრამმითვე:

„ქალაქის თავს.

„ხელმწიფე იმპერატორმა ინება მადლობა თფილისის ქალაქის საზოგადოებისა იმ გრძნობისათვის, რომელიც 2 მარტს თქვენგან გამოგზავნილს ტელეგრამმაშია გამოცხადებული."

მიხეილ.

***

თფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ, თავის წინამძღოლთა საშუალებით, იშუამდგომლეს ნებართვის მიცემა, რომ გაგზავნონ პეტერბურღში დეპუტაცია მიცვალებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორის დასაფლავების დროს დასასწრებელად.

დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა აცნობა თფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობას, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, კეთილ ინება თქვენი თხოვნის ნება-რთვაო.

***

ბუშინ წინ, ბალის მახლობლათ ქაშვეთის ეკკლესიის ქვემოთ ხალხი მოგროვილიყო და პოლიციელისა და ერთის მუშის ჩხუბს შესჩერებოდა. აღმოჩნდა, რომ პოლიციელს ენახა ქუჩაში მოწამლული ძაღლი და მუშას უბრძანებდა, წაიღე ეს ძაღლის მძორი და მტკვარში გადააგდეო. მუშა უარზე იდგა, ჩემი საქმე არ არისო. პოლიციელმა კისერში წაკვრით აალებინა მუშას ძაღლი და გადაათრევინა.

მოგეხსენებათ, რომ ქალაქი მუდამ წელიწადს 800 მანეთს იხდის

---

### „დროების" ფელეტონი, 7 მარტს.

## სვანეთში მოგზაურობის შენიშვნები.

დიდი ხნის ჩემი სურვილი ასრულდა და გავემგზავრე ათს ივლისს ორი სვანით იმ ქვეყნის სანახავათ, რომელსაც საშიშრათ მიხატავდნენ. განსაკუთრებით მაშინებდნენ გზებით და იქაურის ხალხის სიმხეცით.

სხვებისაგან დახატულმა გზების შიშით წარმოდგენამ ისე მიმიყვანა ნამახვანამდინ, რომ არ ვიცოდი-სად მივდიოდი. იმ ღამის მდგომარეობ მ კიდევ უფრო შემაწუხა. ვიწრო დუქნის ოთახში ხალხის ყაყანმა მთელი ღამე მოსვენება არ მომცა. მაგრამ წარმოუდგენელი იყო იმ ორი სვანის მოვლა: მთელი ღამე კარებთან გაათენეს. მე მანუგეშა იმ ღამის ერთგულმა მცველებმა და ვიფიქრე, ამათთან მგზავრობით რა უნდა გამიჭირდეს-მეთქი და ამის გამო მეორე დღეს მხიარულათ გავემგზავრე ლეჩხუმისაკენ.

ლაილაში ადრე მივედით. საზაფხულოთ ლაილაში თავის მაღლობი ადგილებით, ჰაერით და ცივის წყალით სწორეთ სასიამოვნო სანახავია.

მესამე დღეს გავსწიეთ სვანეთისაკენ.

ქუთაისიდამ მურამდინ ძრიელ კარგი გზებია და მურიდამ დაიწყობა საშიშარი გზები; დაიწყობა და მიდის სულ ცხენის-წყლის ნაპირზედ, ასე რომ დიდის სიფრთხილით უნდა სიარული: ერთის მხრით თავზე წარმომდგარის, დაფრჩენილის კლდისა გეშინიან და მეორეს მხრით წყალის ნაპირისა. სუსტი აგებულობის კაცისათვის დიდი საშიში არის ეს გზები. მაგრამ ჩვენ მშვიდობით მივედით ჩოლურში; იმ ღამეს იქ შევისვენეთ.

საღამოს მთხოვეს სვანებმა, ხვალ უთენებლივ უნდა შეუდგეთ გზასაო და ადრე ადექითო. მეც მთელი ღამე არ მძინებია, სულ იმას ვფიქრობდი — რა არის ისეთი ეს მთა, რომ ასე ემზადებიან იქ გადასვლასა-მეთქი და ძრიელ ადრე ავდექით.

აუდექით ლათფარის მთასა. მართლა პირველი აღმართი, ტყეებში გაჩეხილი გზები, საშიშარ აღმართათ მეჩვენა. ცხენსაც გაუჭირდა და რამოდენიმე ვერსტი ფეხით აიარეთ. კიდევ რაღაც უარესს მოველოდი, მაგრამ რაც რომ მაღლა - მაღლა წაველი, შიშის მაგიერათ ბევრი სიამოვნება ვნახე: მთა შემკობილი სხვა და სხვა მშვენიერის ყვავილებით, თითქო განგებ კაცის ხელით შემუშავებული ყოფილიყოს. რა ყვავილიც არ მენახა, აქა ვნახე.

რამთენიც მაღლა-და-მაღლა ავდით, ხეების სახსენებელი დაიკარგა; ერთი საჩრდილობელი ხე ველარა ვნახეთ. მთას წვეროში მოვექეცით და გადმოვხედეთ, რაღაც შიში იგრძნო გულმი, ჩემდა უნებურათ; შიგა-და-შიგ ხრამებში დიდი თოვლია ჩაწოლილი, ზოგან გაყინულზე მიდიოდა ცხენი და ზოგან მუხლებამდინ ჩადიოდა თოვლში. დილის შვიდი საათიდამ გამოსულებმა, ნაშვადღევის ორ საათზე ავიაკეთ; მთის წვეროში უცებ რაღაც საშინელს ნისლში გავეხვიეთ და ცივს ჰირხლს გვაყრიდა თვალებში. დიდი სიცივე ვიგრძნეთ და რაც რამ გაგვაჩნდა თბილი ტანისამოსი, სულ გარს შემოვიხვიეთ და გადავადექით დაღმართს.

რამდენიმე ვერსტი დაღმართი შესვენებით ჩავიარეთ. დალამებულს სოფელს ჰალაში მივედით, რომელიც ითვლება დასასვენებელ ადგილად.

ჩამოვხდით ერთი ჩემი მხლე სვანის ოჯახში, სადაც დიდი სიამოვნებით მიგვიღეს. მთელი სოფლის ქალი და კაცი გარს შემოგვეხვივნენ და მილოცავდნენ მშვიდობით ვადასვლას სვანეთში. სამწუხაროთ დამირჩა, რომ არ ვიცოდი მათი ენა. ქალები მეალერსებოდნენ, რაღასაც მკითხავდნენ

მაწანწალა ძაღლების დასახოცად და ამისათვის მეიჯარადრეც არის. მაშასადამე მოწამლული ძაღლების მოგროვება და გადაყრა პირ-და-პირ ამ მეიჯარადრის მოვალეობაა და არა მუშების.

* * *

სიღნაღიდამ გვწერენ, რომ მალაროს სოფლის საზოგადოებამ ამის წინათ ადგილობრივ ლესნიჩის ბ. პროტოპოპოვისაგან აილო კანონიერი ბილეთი ტყის გაჭრის შესახებ. ამ ბილეთით გლეხებს უნდოდათ საჭირო ტყის გაჭრაო, მაგრამ ამ დროს გზაზე დაუხვდნენ ამათ ტყის მცველები და სანამ ორი თუმანი არ გადაახდევინეს, მანამ ტყეში არ შეუშვეს.

ერთი ამ გვარი შემთხვევა ამავე უეზდის სოფ. ბოდბეშიაც მომხდარა: ერთი ვიღაც ტყის მცველი (აბიესჩიკი) მოვიდაო, გამოუცხადა გლეხებსო, რომ სანამ ცხრა თუმანს არ მომცემთ ბ. ლესნიჩისათვის, ბრძანება მაქვს, მანამ ტყეში ვერ შეგიშვებთო. გლეხები იძულებულნი იყვნენ, რადგან სხვა გზა არა ჰქონდათ, ეს ფული მიეცათ.

ამისთანაები ხშირად ხდება ჩვენშიო, იწერება კორრესპონდენტი, მაგრამ ყრის-მგდებელი არავინ არისო.

* * *

კავკასიის ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ ამ წლის 1 იანვრიდამ ახალ-ქალაქსა და არტაანს შუა კვირაში ორ ჯერ ივლის ფოჩტაო, ახალ-ქალაქიდამ ორშაბათ-ხუთშაბათობით და არტაანიდამ სამშაბათ-შაბათობით, დილის 7 საათზე.

* * *

მთებიდამ მოვიდა ამბავი, რომ გუშინ და გუშინ-წინ რამდენსამე ალაგას ფოჩტის გზაზე თოვლის ზვავები ჩამოწოლილა და ამის გამო გზები შეკრულია, ფოჩტაც ველარ დადის.

## წერილი რედაქტორთან.

ბატ. რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის № 22-ში ამ წლისა დაბეჭდილი იყო „გულ-წრფელი (ასე ვთქვათ) აღსარება“ სოფ. ზუბის გლეხებისა, ჩვენსა და ხსენებულს გლეხებს შორის დავისა „ზუბის მტევრის“ თაობაზედ. გვაქვს პატივი მოგახსენოთ ამ საქმის გარემოება ისე როგორც იყო და არის და არა ისე, როგორც გუბელებს ანუ მათ წინამძღოლს დაუმახინჯებია საზოგადოების წინაშე. „წინამძღოლსა“ რომ მოგახსენებთ, ვინც გვყავს სახეში, ქვემო აღწერილობიდამ შეიტყობთ.

წაილოცა ის დრო, ბატ. რედაქტორო, როდესაც სინიდისს, პატიოსნებას და სიმართლეს ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში უპირატესი ალაგი. არა თუ ჩვენ, ჩვენ შვილი-შვილი-შვილებსაც მოენატრება ის ბედნიერი დრო. თუ ისტორიამ მაინც აცნობა მათ იმ დროს ჩვენი წინაპრების ცხოვრება და მოქმედება და ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობა.

მართალია, ეხლა ვითომც განათლებაში შევადგით ფეხი, მაგრამ ვაი იმისთანა განათლებას, რა გვარიც ჩვენ სოფლელ ხალხს გვადგია! ვინ არის, ბატონო, ჩვენი მასწავლებლები, არ იკითხავთ? ესრედ წოდებულნი ვითამც განათლებულნი და პატიოსნების დამფარველნი სწავლული ადვოკატები! აი ამათგან ვსწავლულობთ ჩვენ; ესენი არიან ჩვენი „ბეჩაების“ მასწავლებელნი, განმანათლებელნი. თითო გაკვეთილის მეტი არ სჭირდება მათგან ჩვენ ხალხს, და ალბათ ჩვენი ხალხი ნიჭიერი არის და მოსურნე სწავლისა, რომ ასე მალე ილებს, ითვისებს მათ წესსა და ხასიათს. მაგრამ რას გვასწავლიან? ამათი გაკვეთილები ეს გახლავს, ბატონო: ყოველ გვარი ეშმაკობა, მახინჯობა, მელაქუციობა, მოტყუება, მეზობელთ შორის შურისძიება, შურის ჩამოგდება და ყოველი ამ გვარი სიბილწე, რაც დღემდისინ კაცის დამახინჯებულს ჭკუას მიუგნია. ამ მასწავლებლის დასს უნდა ეკუთვნოდეს ის წინამძღოლი გუბელ გლეხებისა—ბატ. დ—ძე, რომელიც ზევით მოვიხსენეთ.

ბატ. დ—ძე რომ არ ყოფილიყო, ეს საქმე ჩვენსა და გუბელებს შუა თავის დღეში არ ატყდებოდა. მაგრამ მათ ეს დაიწყეს ბატ. დ—ძის შეგონებით და თაოსნობით, რომელიც სახლობს მახლობლად იმ გლეხებისა და არის ნაბატონევი ზოგიერთა იმ გლეხთა.

ამ საქმის წარმოების დროს გამოვიდა უმაღლესი განკარგულება, რომ ვინც კეთილ საიმედო პირი არ იქნება და სასამართლოდგან ჯეროვანს მოწმობას არ მიიღებს, იმას არ ექმნება საქმის დაცვის (ადვოკატობის) ნება.

თუმცა ბატ. დ—ძე მიიქცა ქუთ. ოლქის სასამართლოში მოწმობის ასაღებად, მაგრამ უარი უთხრეს. მაგრამ მან განაგრძო თავისი საქმე იმ მუხლის ძალით, რომლითაც ყველას აქვს უფლება სამი საქმის დაცვისა წელიწადში.

აი ამ უფლებით ჩაიგდო მან ხელში გუბელების საქმე. ცდილობდა, ეს საქმე დიდხანს გაგრძელებულიყო, რომ ესრეთ „მოსამსახურე“ კაცებს არ მოკლებოდა მალე საქმის დაბოლოებათა. ამისთვის შეაგონა გლეხებს, რომ, თუ შეკრბებიან ერთად დაიფლობენ ძალით ჩვენ ზუბის ტევრის ადგილებს, მაშინ იგი ისე მოახერხებს, რომ ველარ დავიბრუნებთ ჩვენ მათგან იმ ადგილებსა. ეს დარიგება აასრულეს გლეხებმა, შეფიცეს ერთმანეთსა, რომელიც ნებით არ შეჰყვნენ, ძალით შეიყვანეს და აგრეთვე ძალით აძლევინეს ფულები ბატ. დ—ძის სასარგებლოდ.

ამის გამო ჩვენ დავიწყეთ საჩივარი ხონის მომრიგებელ მოსამართლესთან, აღდგენისათვის დარღვეულის მფლობელობისა. ბ. დ—ძემ ისარგებლა სასამართლოს თავმჯდომარის ავათმყოფობით და როგორც იყო იშოვნა ნება საქმის დაცვისა. როდესაც დაინიშნა გარჩევის დღე, რომ ეს საქმე გაგრძელებულიყო, ბ. დ—ძემ გაუგზავნა მომრიგებელ მოსამართლეს განცხადება და თან ექიმის მოწმობა, რომ იმან, ავათმყოფობის გამო ვერ მოასწრო მისი მარწმუნებლების შეტყობინება, და ითხოვა საქმის გადადება. ეს თხოვნა იქმნა სასამართლოსაგან ყურადღებაში მიღებული და საქმე გადაიდვა. უნდა მოგახსენოთ, რომ ბატ. დ—ძემ იმავე დღეს ქუთაისის ოლქის სასამართლოში ორი საქმე დაიცვა და მთელი დღე ქუთაისის ოლქის სასამართლოში ბრძანდებოდა სრულიად ჯან-მრთელად. ესრეთის მისის უკანონო მეცადინეობით და სხვა-და-სხვა მიზეზით გადის აგერ რვა წელიწადი და საქმეს დაბოლოება არ მიეცა დარღვეულის მფლობელობის აღდგინებაზედ.

გლეხები რომ სწერენ, ვითომც დ—ძე ისეთი პატიოსანი ბრძანდება რომ ამ საქმეს გლეხებისათვის მუქთათ აწარმოებს, ეს ვგონებთ, თვითონ ბ. დ—ძის ნაწერი უნდა იყოს, თორემ გლეხები ამას არასოდეს არ დაწერენ, ამისთვის რომ ეს ძლიერ კარგად არის ახსნილი, თვით იმ გლეხების ჩვენებით, რომელთაც ჩვენი ადგილები დაიფლეს ძალით, რომ, ბ. დ—ძის სასარგებლოდ, ისინი აგროვებენ ფულებსა და ვინც სიღარიბისა გამო ვერ შესძლო გარდახდა, იმათ გაუყიდეს ქვაბი, ტაშტი, თოხი, ხანჯალი, ნაბადი და სხვა სახლის

---

ჩემ-და-ბედათ ჩვენი სახლის პატრონის ცოლი რაჭველი ქალი იყო და ის იყო ჩემი თარჯიმანი. რაკი მთას გადივლი, სრულიად არ ესმით ქართული, მეტადრე ქალებს და იმ რაჭველ ქალსაც დასცინოდნენ—სვანური არ იცისო.

ამ რაჭველმა ქალმა გაგვიკეთა რაჭული საჭმელები და სვანური საქებური ხაჭაპურები. ერთად შევექეცით ვახშამს.

იმ ღამეს მასლაათი გავაბი ქალებთან. მიამბეს სვანეთში ადგილების ვიწროობა არისო, წლის მოსავალი ძვირათ მოუვა ვისმეს, თუ ზომით არა სჭამეს, სადილს რომ გააკეთებენ, თვითო პური (ესე იგი ჩვენებური კოკორი) უნდა კაცის თავზე გამოაცხონ და მიუტანონ; ეყოფა თუ არ ეყოფა, ის არის, თუნდ კიდეც შიოდეს, მეტი არ არის, ასე რომ სადილზე ვერ გაძღება სვანი; მაგრამ რომ შეხედოთ კაცს თუ ქალს, ქინქლილივით არიან, უებველია, მშვენიერის ჰაერისა და საზოგადოთ ბუნებისაგან.

გამაკვირვა ამათმა სითამამემ: გეგონებათ ამათ ბევრი რამ უნახავთო, თამამად მოგესალმებიან, გკითხვენ და გემუსაიფებიან. იმათმა მხიარულებამ, კეთილ-ოვნებამ, პატივისცემამ დიდათ მასიამოვნა.

მეორე დღეს ბეჩოს მივედით, სადაც ბინადრობა არის სვანეთის მმართებლობისა.

მთელს ბეჩოში ორი ქალი იყო—ექიმის თანაშემწის ცოლი და ფელდფებელის ცოლი. აი ამათთან ვიზიტით მივედი და მოვიდნენ ჩემთან... ზარეშე სოფლებში დავდიოდი: როგორც საკუთარს ნათესავს ისე მღებულობდნენ: შემიყვანდნენ, დამატარებდნენ სახლებში, ყველაფერს მიჩვენებდნენ.

სვანების ცხოვრება ამტკიცებს, რომ ძველად შიშიანობა ყოფილა, არა თუ მტრისაგან, ერთმანეთშიაც და ამისათვის ყოველს მოსახლეს ქვით ნაშენი სახლები და შიგ სიმაგრე აყვანილი, კოშკი. შეხვალ სახლში, ნახავ კიბეს გადგმულს, ახვალ პატარა კარებში და ასწევ ზევით, ორი-სამი სართული ოთახები უბრალო ძელებით გაჭრილები. ზამთრობით დაბლა სახლში ჩამოვლიან და ზაფხულობით ზევით ავლიან. ვნახე შესანიშნავი ქალი ლევან დადიშკელიანის ცოლი დადიანის და; რა წამება ამ ქალს გამოუვლია სვანეთში! როდესაც ამის ქმარი გათათრებულა, მართებლობას ყოველი იმის მამულ-ადგილი სახელმწიფოთ შეურაცხავს. მერე ისევ მოსულა, მონათლულა, მაგრამ ადგილები აღარ დაუბრუნებიათ და სიღარიბეში არიან. ვნახე ბექერ-ბეი დადიშკელიანი, რომელსაც ისევ თათრის რჯული უჭირავს და ცოლადაც ყარაჩაიელი თათრის ქალი ჰყავს.

სვანის ქალებს როგორც შეძლებულებს, ისე ღარიბებს ვერა ნახავთ ფეხშიშველს: ყველას საქონლის ტყავისაგან თავიანთ შეკერილი ჩუსტები აცვიათ; ტანთ ფეხებამდინ პერანგები და ზევიდამ ახალუხები, ზოგს ჩოხა მაუდისა ბუზმენტ-შემოვლებული და თავსაფარები.

სოფლებს რომ გადახედავთ, გაკვირდებით, გეგონებათ ციხე-ქალაქი და შიგ მცხოვრებლები მდიდრები. მაგრამ რომ დაუახლოვდებით სოფლებს და დაივლით, ძრიელ შესაბრალისს მდგომარეობაში არიან საზოგადოდ ადგილების ნაკლებობით, ასე რომ წლის სარჩო არ მოუდით და იძულებული არიან, რადგან გზა არა აქვსთ, რომ ცხენით ზიდონ, ტვირთით თავის ზურგით ზიდონ და ისე არჩინონ ცოლ-შვილი.

ცხენის გზა სამეგრელოდამ ან ლეჩხუმიდამ წელიწადში სამი თვეა; ქვემო-სვანეთს სულ არა აქვსო საცხენოსნო გზა სამეგრელოსკენ, საიდამაც ზიდვენ სიმინდს.

როგორც ამბობენ, კარგი გზა გაუკეთდება სვანეთს ინგურის პირათ ასრე, რომ არც ზამთარში შეიკვრი-

სამკაულები, ასე რომ ბ. დ–-ძეს ჰყავს იმათში ფულების მ.ამბოჭი და ვინც წებით არ გარდაიხდიდენ, ძალით გარდაახდევინებენ.

კიდევ სწერენ გლეხები, რომ ბატ. დ—ძე გამოვიდა ამ საქმის ვექილობისაგანო. ეს ისეთი მართალია, როგორც მისი ავათმყოფობა და ექიმის სასამართლოს მოტყუება. ბ. დ—ძემ შეაგონა გლეხები და როდესაც გამოძიების დროს საქმეზედ ხელი უნდა მოეწერათ, მაშინ ურჩია, რომ წასულიყვნენ და წავიდენ კიდეცა. მაშინ თითონ შეიტანა გამომძიებელთან განცხადება, როგორც სჩანს 4 აგვისტოს პროტოკოლისაგან, რომ იმ მიზეზისა გამო რომ იმისი მარწმუნებლები არ მიყვებიან იმის დასაფარავ მოგონილს პლანებს, და თვითეულს მათ მარწმუნებელს სხვა-და-სხვა ნაირი შეხედულება აქვს დასაცველ საქმეზედ, ამისთვის იგი უარს ჰყოფს ამ საქმის დაცვაზედ. ეს განცხადება ბატ. დ—ძის ხელმოწერილია, მაგრამ ეს იმ მიზეზით კი არ გახლდათ, სუდიდგან იყო დაბრუნებული საქმე გამოსაძიებლად და გამოძიების დროს რომ ნახა ბ. დ—ძემ, რომ მის მარწმუნებელთ სასარგებლოდ საქმე აღარ მიდიოდა, მოახერხა, გამოძიებამდე, გლეხები წასულიყვნენ და გამოძიებას აღარ დასწრებოდენ. ამ ოინბაზობით მოახერხა გამოძიების და საქმის გაგრძელება. ეს მტკიცდება მით, რომ 31 იანვარს ამ საქმის დასაცველად იგივე ბ. დ—ძე გამოცხადდა კიდევ ოლქის სასამართლოში.

აი კიდევ მაგ. რა საშუალებაებს ხმარობს ბ. დ—ძე იმისათვის რომ ამ საქმეს დაბოლოვება არ მიეცეს: ერთი ჩვენი მომჩივან გლეხებთაგანი მოკვდა; შეაგონა გლეხებს, რომ არ დანიშნონ ოპეკუნი მცირე წლოვან ობლებზედ, რადგან ამით გაგრძელდება საქმეო. ამის გამო ერთი ოპეკუნის დანიშვნაზედ სამჯერ შესდგა სოფლის სხდომა და ოპეკუნი არ დაინიშნა; ადგილობრივ მამასახლისმა მოახსენა მაზრის უფროსს ეს გარემოება და მერმე მაზრის უფროსის შეგონებით ძლივს დაინიშნა ოპეკუნი.

რა ენაღვლება ბატ. დ—ძეს საქმის გაჭიანურება? გლეხებს არწმუნებს მოვიგებ საქმესო, ამით ისინი იყმო, იბეგრა და იშინაყმა.

რაიცა შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, გლეხები რომ სწერენ, ვითომ სასამართლო პალატას ადგილის კუთვნილობაზედ მათდამი ეთქვას რაიმე, ეს სულ ტყუილია; ადგილის კუთვნილობაზედ სრულებით არაფერი მსჯელობა არ ყოფილა; მხოლოდ მას ქონდა სჯა ძალადობით დაფლობაზედ ადგილებისა და სხდომა რომ იყო ამ საქმის თაობაზედ, ვინ იცის-რა ხრიკები მოიგონა ბატ. დ—ძემ: წაიყვანა გლეხები იქ, ჩააცვა ყველას დახეული ტანისამოსები, ბაწრეში შემოარტყმევინა წელზედ! ერთი იმ გლეხთაგანი ლ. ა. მ—შვილს, რომელიც ვაჭრობს და პრიკაშჩიკებს წელიწადში ათას მანეთამდი აძლევს, წელზე შემოარტყა თოკი და ქალამნები ჩააცვა; ერთი სიტყვით, თავის მარწმუნებელი გლეხები, რომ გაგიგონიათ „ხონის გლახაკებათ“ გადააქცია, ამ გვარად შეახედა მოსამართლეებს—შეიწყალეთო ეუსამართლებიანო; ეს ამისთანა ოინები მეათასედია იმათგან, რაც ამ საქმეში ჩაიდინა ბ. დ—ძემ.

თუ ბატონი დ—ძე არ გატყდება, რომ მან მოატყუა ექიმი და მოსამართლე და ეგრეთვე მის-და სასარგებლოდ არ აგროვებდენ ფულს ბუზელი გლეხები, მაშინ ჩვენ წარმოუდგენთ სულ ყველა ზემო დაწერილს გარემოებაზედ საბუთიან წერილებს, რომელიც იმყოფება თვით საქმის წარმოებაში და არის თვით საკუთარი ჩვენება იმ გუბელ გლეხებისა, რომელთაც ეგ ადგილები დაიფლეს.

ამ გარემოებიდამ ყველანი ცხადათ დაინახავს, თუ ვინ ეუსამართლოება გლეხებსა და ვის მიაქვს იმათი ნაშრომი. ვგონებთ, იმისთანა ადვოკატებს, რომელნიც სთესვენ შურსა და უპატიოსნებას გლეხებსა და მე ბატონთ შორის და არა ჩვენ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამისთანა „მფარველი“ არ გამოჩენოდათ გლეხებს, იმდენ ხანს ჩვენ ორის საქმე გათავებული იქნებოდა თუ მორიგებით არა, სასამართლოს წესით მაინც.

დასასრულ ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ იმაზედ, რომ ვითომც ჩვენ მოწმეებისათვის გვეჩივლოს. ეს თვითონ ბატ. დ—ძემ და მისმა მარწმუნებლებმა ჩაიდინეს და ამას ვგონებ ვერც თვითონ დაფარცვენ; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ წარმოვადგენთ წერილობითი საბუთს.

თ. ოტია ნიჟარაძე
თ. იოსებ ნიჟარაძე
თ. ვასილ ნიჟარაძე.

20 თებერვ. 1881 წ:
ს. მაღლაკი

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინდიის მართველს ლორდ ლიტტონს შეიტანია ლორდთა პალატაში შემდეგი წინადადება: „ჩემის აზრით მიუცილებელი საჭიროებაა, რომ ჩვენ (ინგლისმა) უნდა სამუდამოთ დავიჭიროთ ავღანი. მიზეზი, რომ ჩვენ ავღანთან აგვიტყდა ომი, იყო რუსეთი; მაგრამ ამ ომმა ის შედეგიც მოგვიტანა, რომ რუსეთი კვლავ ვეღარ იმოქმედებს ამ მხარეში ადრინდელ მანქანებებით.“ რუსეთის ყოველ მოქმედებას ეჭვიანათ უნდა უყუროთ ჩვენო, თუ გვინდა დავიცვათ ჩვენი ინტერესები აზიაში, რადგანაც ის (რუსეთი) თან-და-თან იწევა და უახლოვდება ინდოეთს. და ეს იყო მიზეზი, რომ ადრინდელმა სამინისტრომ დაიჭირა ყანდაარი და სამუდამოთ დააბანაკა [illegible] ინგლისის გარნიზონი. ინგლისს [illegible] არ უნდა ეშინოდეს რუსეთის გავლენისა ავღანში. თუ რუსები შეეიდნენ ამ მხარეში, ავღანელები, ეჭვი არ არის, მიმართეენ ინგლისს, როგორც თავის მფარველს.

—

**ამერიკა. შეერთებული შტატები.** შეერთებულ შტატების რესპუბლიკას ამ ჟამად ჰყავს ახალი პრეზიდენტი—ღენერალი ჰარფილდი. ამ თანამდებობის დაჭერის დროს ჰარფილდს წარმოუთქვამს სიტყვა. ჰარფილდი შეხებია თავის სიტყვაში უკანასკნელი ასი წლის რესპუბლიკის საქმეების მდგომარეობას და უთქვამს, ამერიკელებმა დაამტკიცესო, თუ რამდენათაც კარგათ შეუძლიან თვითონ ხალხს თავის ქვეყნის საქმეების წაყვანა. სხვათა შორის ჰარფილდი შეეხო ნეგრების (ზანგი) მდგომარეობას და სთქვა, რომ ყოველი ღონით ვეცდებით, რომ ამ შავი ხალხის ბედი წაღმა დავატრიალოთ. განათლება და კიდევ განათლებაო, ამბობდა პრეზიდენტი. მთელი ჩვენი ყურადღება განათლებაზედ უნდა იყვეს ეხლა მიქცეულიო.

მოგვყავს ის ფიცითი აღთქმა, რომლითაც გაელიდ 2 მარტს დაიფიცეს ჩვენი ხალხი ახლად ტახტზე ასულ ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III-ის ერთგულებაზე.

„ფიციითი აღთქმა.

„მე ქვემორე სახელ-დებული, აღვითქვამ და ვეფიცავ ყოვლად-შემძლებელსა ღმერთსა წინაშე წმიდისა მისის სახარებისა, მას ზედა, რომელ მნებავს და თანამდებ ვარ მისის იმპერატორებითის დიდებულებისა, თვისს ჭეშმარიტს და ბუნებითს, ყოვლად-უმოწყალესს დიდს ხელმწიფესა იმპერატორსა ალექსანდრე ალექსანდრეს

სო. ეს გარემოება დიდი ყურადღების მისაქცევია ვისგანაც შესაძლებელია, ამიტომ რომ ყოველი ხარჯი, რასაც ეხლა შვრება მმართებლობა სვანეთისათვის, უნაყოფოთ იკარგება და როდესაც სვანეთს გზა გაუკეთდება, დიდს ნაყოფს მოიტანს, როგორც მმართებლობისათვის, აგრეთვე მცხოვრებლებისათვის.

ბეჩოში კამანდა დაუყენებიათ, პოლიცია და სუდი. ეს მეტის-მეტი შეცდომა არის, ამიტომ რომ ბევრიც რომ ეცადონ, ესენი ვერაფერს სარგებლობას ხალხს ვერ მოუტანენ, რადგანაც მცხოვრებლები არ ეახლოვებათ. ბევრათ უფრო სასარგებლო იქნება, რომ ეს უწყებები მართებლობამ სოფელს მესტიაში გადაიტანოს, სადაც სცხოვრობს ას კომლამდინ მცხოვრებლები და სადაც ადვილად შეიძლება გაჩნდეს რამოდენიმე ვაჭრები და გაჩინონ დუქნები, შეაჩვიონ სვანები ვაჭრობას, ექნეთ მოსამსახურე პირებს სურსათის და ყოველი საჭიროების შოვნის საშვალება. ქველა მოსამსახურე კაცს, ვისაც იქით გზავნიან, მისვლისა თანავე, თვალები აქეთ უჭირავთ, რამე ნაირათ გამოიქცნენ ამისათვის, რომ მეტის-მეტი მოწყენით და მიყრუებული არიან, რადგან ერთი მცხოვრებელი არავინ არის ბეჩოში.

საზოგადოდ სვანეთში კარგი ხალხია; თუმცა ზოგიერთი არა-მოსაწონი შიგა-და-შიგ ძველი ჩვეულებაები დარჩენილა, მაგალითათ, კვირაში სამი დღე უქმე; ვერავინ შემოიღო ამის ჩაგონება; სხვათა შორის ითრიში მცხოვრებელი კეთილი თეოფანე ბერი შეწუხებული არის, რომ ეს გამოგონებული უქმეები ვერ გადააგდებინა, და სხვაც ბევრი ამისთანა ჩვეულებაები ძველათ პაპებისაგან ჩაგონებულები. მაგრამ მე ვგონებ, მანამ ძველი კაცები არიან და განათლების ცოტა სხივი არ მოეფინება სვანეთს, ასე იქნება.

სვანების ქალებს დიდი სურვილი აქვსთ ქალების ხელ-საქმე შეისწავლონ; მთხოვდნენ, ზოგი კაბის დაჭრას, ზოგი შალების მოქსოვას, შემაკერვინეს მინუშათ კაბა. დიდათ გაიხარეს, რომ უთხარი, თუ სურვილი გაქვსთ, ნოხის ქსოვას გასწავლითმეთქი; მატყლი ბევრი ეშოებათ, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, დრომ ნება არ მომცა რომ დავრჩენილვიყავ და იმათი სურვილი ამესრულებინა. თუ კი არის ახლა რამე მცირედი რამ შემოღებული, მღვდლისა ქალებისაგან.

სვანეთში არ იციან ბოსტანი, არაფერი მწვანილი არ მოიძევება. მშვენიერი ბოსტანი ჰქონდა მღვდელს ზიორგი ძიმისტარი-შვილს. ეს მღვდელი შესანიშნავი და გავლენიანი მღვდელია, და სტუმართ მოყვარეთ დაულოცნია ღმერთს გამვლელ-გამომვლელი ხალხისათვის.

გასაკვირვებელია ეკკლესიები—ძველი ნაშენი და კედლებზედაც ძველი წმინდანებისა და მოწამეების სურათები დახატული; ჯვრებზე წარწერილია, შემოწირული ამა და ამ მეფეებისაგან,—ასეთი ქრისტიანობა ყოფილა და დაახლოვება იქითი მხრისა აქეთ მხარესთან; შემდეგ რამ დააშორა ასე ეს მახლობელი პატარა ქვეყანა ჩვენთან, ასე რამ გარდაასხვაფერა სჯულით, ენით, ჩვეულებით და ყოველის ფრით? რასაკვირველია, უგზობის მიზეზია.

სასურველია გზებით შესწეოდეს ამ ქვეყანას მართებლობა და სკოლების გახსნაზე ყურადღება მიექციოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას.“ ჩემის აზრით, ეს შეწევნა—მით უფრო უნდა სვანებს, რომ ეს ხალხი საკვირველი ნიჭიერია და სურვილი აქვსთ სწავლა-განათლებისა. რამოდენიმე სემენარიელი სვანები არიან სვანეთში; დიდის მწუხარებით მიამბეს ამათ სამდურავი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე“ უყურადღებობისათვის.

ეფ. კლდიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძესა, და მისის იმპერატორებითის დიდებულებისა, სრულიად როსსიის ტახტისა მემკვიდრისა, მისს იმპერატორებითს უმაღლესობას, ხელმწიფეს ცესარევიჩს და დიდსა მთავარს ნიკოლოს ალექსანდრეს-ძესა სარწმუნოდ და შეუორგულებელად ვმსახურებდე, და ყოველსავე შინა დავემორჩილებოდე, დაუზოგველად თვისის ცხოვრებისა, ვიდრე უკანასკნელ სისხლის წვეთისა, და ყოველნივე მაღლისა მისის იმპერატორებითის დიდებულების თვით-მპყრობელისა, ძალისა და ხელმწიფებისადმი კუთვნილთა უფლებათა და წარჩინებათა, ჰსჯულდებულთა და კვალადცა ჰსჯულდასადებელთა, უკანასკნელის გულის-ხმის ყოფისაებრ, ძალისა და შეძლებისამებრ დავიფარვიდე და დავიცავდე და მასთანავე უკანასკნელ ღონის-ძიებით ვიწვერთიდე მარადის მას ზედა, რაიცა ყოველ შემთხვევასა შინა შეეხებოდეს მისის იმპერატორებითის დიდებულების სარწმუნოსა სამსახურსა და სახელმწიფო სარგებლობასა; ხოლო დამცირებისათვის მისის დიდებულების სარგებლობისა, ვნებისათვის, და ზარალისა, ვითარ მსწრაფლ მისთვის ვცნო, არა თუ კეთილ-დროებით გამოვაცხადო, არამედ ყოვლითავე ღონის ძიებით ვეცადო განრიდებად და არა უტევო, და ყოველი რწმუნებული საიდუმლოობა მტკიცედ დავიცვა, ხოლო რწმუნებული და დადებული ჩემზედა წესი, ვითარცა ამა (საზოგადოისა, ეგრეთვე ზოგად) განწესებული და დროებითი დროებად მის იმპერატორებითის დიდებულების სახელით დადგენილ ჩემზედა მთავართაგან, დაწესებული ინსტრუქციათა და რეგლამენტთა და უქაზთა, ჯეროვანის სახით სვინიდისისამებრ თვისისა აღვასრულო, და თვის სარგებლობისათვის, ნათესაობისა, მეგობრობისა და მტერობისა, წინაღმდეგ თანამდებობისა და ფიცისა, არა მოვიქცე, და ამა სახით მოვიქცე, ვითარცა სარწმუნოსა მისის იმპერატორებითი დიდებულების ქვეშევრდომსა კეთილ-შეეფერების და თანაამს; და ვითარ მე წინაშე ღვთისა და საშინელ მისის სასჯელისა ყოველთვის მას შინა პასუხის მგებელ ვიყო, ვითარცა უფალი ღმერთი სულიერად და ხორციელად შემეწიოს მე. ხოლო დასასრულ ამა ჩემის ფიცისა ვემთხვევი სიტყვათა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისასა. ამინ“.

# განცხადებანი

**დუშეთის ნატარიუსი ი. ი. ნატროევი** აცხადებს, რომ მუშაობა ექმნება თავის კანტორაში, ქ. დუშეთში, ყოველ დღე, დილის რვა საათიდგან ორ საათამდის შუადღის შემდეგ:

აქვე შეუძლიანთ მსურველთ მიიღონ დარიგება და 'მიადგენინონ ყო-

ველ გვარი არზები სადავო საქმეებსა ზედა, **ღარიბთათვის უფასოთ.** (3—1)

---

## ტოლლეს მაღაზიაში

25 თებერვლიდამ 10 მარტამდე იქნება **გასყიდვა** ყოველ გვარის საქონლისა იაფ ფასებით. (5—4)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოგრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო გების, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშების, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩევინი ზეთისა) და სხვ. **საგენტო** მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკვიანს სიგარები. (100—34)

---

ნაფიცი ვექილი (სტრიაპჩი)

# პ. გ. ლებედინსკი

ჰკისრულობს სამოქალაქო საქმის წარმოებასა თბილისში: ოლქის სასამართლოში და პალატაში.

ადრესი: ბარონის ქუჩა, თამამშოვის სახლები, მებელის მაღაზიის პირ-და-პირ. მიიღებს 5—7 საათამდის ნაშუადღევს. (3—2)

---

## ბევრი კრაოტები

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქალალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, პიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსაელის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმჯეობესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—5)

---

**ყველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალერეაში: დიდს სხვადასხვად.

**ისყიდება** საზამთრო მოსასხურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფადნოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 20—15

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მანინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. მრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** **საგენტო** ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ჯაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—34

---

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—45)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამო-ყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკიფილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—39)

---

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად** — წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ლავნსი სარდაფში. (25—22)

---

## თესლები

ბოსტნეულობისა და ყვავილებისა

მიღებულია თესლების დეპოში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, გალოვინის პროსპექზე, № 11, **ლარშეს** მაღაზიაში.

აქვე იშოვება კატალოგები თესლებისა. (10—5)

---

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—15)

---

ОБЪ ИЗДАНІИ

съ апрѣля 1881 года въ г. Тифлисѣ еженедѣльнаго юридическаго журнала

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Журналъ будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ до 2-хъ печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

Отдѣлъ 1. Статьи по теоріи и практикѣ права и судопроизводства.

Отдѣлъ 2. а. Извлеченіе изъ приказа о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству Юстиціи въ Имперіи.

б. Перечень и краткое изложеніе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.

Отдѣлъ 3. а. Краткіе отчеты о засѣданіяхъ въ судахъ Кавказскаго Намѣстничества. Въ случаяхъ особенно важныхъ—стенографическіе отчеты будутъ издаваться въ видѣ особыхъ приложеній въ журналу.

б Тезисы изъ руководящихъ рѣшеній Тифлисской Судебной Палаты по дѣламъ, разрѣшеннымъ ею въ кассаціонномъ порядкѣ. Въ случаѣ надобности здѣсь-же будетъ помѣщаемъ и текстъ самыхъ рѣшеній.

в. Особенно интересныя рѣшенія гражданскихъ судовъ Кавказскаго Намѣстничества. Преимущественно тѣ рѣшенія, коими разрѣшаются какія либо вопросы права и судопроизводства, вызванные мѣстными особенностями Кавказскаго края.

г. Корреспонденціи юридическаго содержанія.

Отдѣлъ 4. Перечень новыхъ книгъ юридическаго содержанія. Редакція по возможности будетъ представлять и краткіе отчеты объ этихъ книгахъ.

Отдѣлъ 5. Смѣсь. Мелкіе случаи изъ судебной жизни и практики.

Отдѣлъ 6. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской Судебной Палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.

Отдѣлъ 7. Тезисы изъ вновь выходящихъ рѣшеній Кассаціонныхъ Департаментовъ Сената.

Отдѣлъ 8. Объявленія.

Журналу обѣщали свое сотрудничество, сверхъ многихъ лицъ судебнаго вѣдомства: Ф. К. Бакало, Ѳ. А. Быковъ, В. М. Горбовскій-Заранекъ, Н. А. Дивгельштетъ, В. И. Канатовъ, П В. Макалинскій, Я. И. Рашетъ, М. А. Селитренниковъ, П. П. Соколовъ, Е. Д. Стрѣльбицкій, А. С. Френкель и др.

Редакція журнала—по Ново-Бебутовской ул., д. № 6. — Администрація (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—близъ Головинскаго проспекта, по Безъименному пер., д. Тамамшева.—Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою, на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к.—Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца. — Отдѣльные нумера—по 25 к. — Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.— Иногороднымъ просятъ обращаться исключительно въ Администрацію журнала.

Редакторъ А. В. Степановъ.

Издатель А. С. Френкель, присяжный повѣренный.

(5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 6 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ივ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.